საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

სამსონ ქუთათელაძე

სამსონ ქუთათელაძე (1914–1986), მეცნიერი თბოფიზიკის, ჰიდროდინამიკისა და ენერგეტიკის დარგში. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979). დაიბადა პეტროგრადში. დაამთავრა ლენინგრადის თბოტექნიკუმი (1932) და ლენინგრადის ინდუსტრიული ინსტიტუტი (1936). 1932-58 წლებში მუშაობდა ი. პოლზუნოვის სახ. ქვაბტურბინის ცენტრალურ ინსტიტუტში, 1958 წლიდან _ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებაში; იყო ამავე აკადემიის თბოფიზიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1964 წლიდან - დირექტორი). ს. ქუთათელაძის შრომები ეძღვნება თბოგადაცემის თეორიის, ტურბულენტური სასაზღვრო შრის თეორიის, აირსითხიანი სისტემების ჰიდროდინამიკის საკითხებს. 1976 წელს გახდა ი. პოლზუნოვის სახ. პრემიის ლაურეატი, ხოლო 1983 წელს - სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ს. ქუთათელაძე გარდაიცვალა მოსკოვში, დაკრძალულია ნოვოსიბირსკში, სადაც იგი ცხოვრობდა. ნოვოსიბირსკში რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თბოფიზიკის ინსტიტუტი მის სახელობისაა.